სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 6 22 0000283662

18/03/2022

სტუდენტთა რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანების, „შპს უმაღლეს სასწავლებელ მილენიუმის ქართულ ენაში მომზადების საგანამანთლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირებისათვის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის პროცესის (რიგგარეშე მობილობის) ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 15 მარტის MES 5 22 00001.1/25 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გამოკითხვის წესით მიღებული 2022 წლის 18 მარტის N 01-05-04/23 დადგენილების (ოქმი N01-05-02/08) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, განცხადება (დანართი 1) და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 2) უნდა წარმოადგინონ

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2022 წლის 21 მარტიდან 23 მარტის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველ დღე 10^{00} დან 16^{00} საათამდე (მისამართი: კოსტავას 77, სტუ–ის ადმინისტრაციული კორპუსი, ოთახი N 350);

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს თ. წერეთელს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ის საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს ხ. სოსელიას;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა მოამზადოს მოტივირებული დასკვნები არსებული წესის თანახმად და წარადგინოს სასწავლო პროცესების დეპარტამენტში (დანართი 3) არაუგვიანეს 2022 წლის 24 მარტისა;
5. 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენა უზრუნველყოს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2022 წლის 25 მარტისა;
6. 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანება გამოიცეს არაუგვიანეს 2022 წლის 31 მარტისა;
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
8. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64).

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან